პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№71 (6136)

1978 წ. 11 აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ემზადებიან შაბათობისთვის

### თბილისი

სტალინის სახელობის სანაპიროზე, გიგანტურ საცურაო აუზის გვერდით რამდენიმე თვეა მიმდინარეობს სპორტულ ტანვარჯიშში უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამ რამდენიმე დღის წინ, ინჟმშენის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო სატანვარჯიშო დარბაზის გვერდით შეუდგა ვაჟთა სატანვარჯიშო ნაგებობის მშენებლობას.

ლენინური შაბათობის დღეს, ტანმოვარჯიშეებს გარდა სამშენებლო პოლიგონზე, მუშებს დაეხმარებიან სკოლის მომსახურე პერსონალი, მასწავლებლები. მათი ძალებით კიდევ უფრო კეთილმოეწყობა და დაჩქარდება ახალი სატანვარჯიშო დარბაზის მშენებლობა, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელიან სპორტსმენები.

**მ. ჯულელი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, სკოლის დირექტორი.**

### მცხეთა

საზაფხულო სპორტული სეზონის შესახვედრად ემზადებიან რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის კომპლექსური სკოლის სპორტსმენები. რამდენიმე თვეა, რაც მცხეთის წყალჯომარდობის სადგურის ირგვლივ შენიშნავთ მოფუსფუსე ადამიანებს. ეს ამ სკოლის კანოეს, ბაიდარებითა და აკადემიური ნიჩბოსნობის სექციების წევრები არიან, მათ საკუთარი ძალებით შეაკეთეს სტიქიისგან დანგრეული სადგური: მოაწყვეს დასასვენებელი ოთახები, გასახდელები, დაავეს იატაკი, აწყობენ სპორტულ მოედანს. გაამწვანეს წყალჯომარდობის სადგურის ტერიტორია, კარგა ხანია ნიჩბოსნები ყოველდღიურად ორჯერად სასწავლო-საწვრთნელ ვარჯიშებს მართავენ.

22 აპრილს, ლენინური შაბათობის დღეს ნიჩბოსნობის კომპლექსური სპორტსკოლის ყველა თანამშრომელი აქტიურად ჩაებმება ამ სპორტული ნაგებობის რეკონსტრუქციის სამუშაოებში.

**ნ. დუმბაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, სკოლის დირექტორი.**

**აკრობატიკა.** ტოლიატში სსრ კავშირის თასზე მიმდინარე სპორტულ აკრობატიკაში ასპარეზობაში ადგილობრივმა ნ. მასლობოიშჩიკოვამ ხტომებში I ადგილი დაიკავა. რიგელებმა გ. კორჩემნაიამ, ტ. ისაენკომ და გ. უდოდოვამ ყველას აჯობეს ჯგუფურ ვარჯიშში. ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში თავი ისახელეს კიეველმა სპორტსმენებმა ლ. პესოკმა, ტ. მოტრენომ, ი. მოტრენკომ და ი. სმირნოვმა. აკრობატულ ხტომებში ვაჟთა შორის წარმატებას მიაღწია ი. ბრიკმანმა, ხოლო ქალებში — კიეველებმა ნ. ტიშჩენკომ და მ. კუხარენკომ.

**ცურვა.** საბჭოთა მოცურავეებმა ანგარიშით 177:167 დაამარცხეს გდრ-ის ნაკრები გუნდი. ლენინგრადის 50-მეტრიან აუზში სამი დღის განმავლობაში 29 გაცურვა მოეწყო. აქედან 16-ჯერ პირველობდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომელთაც ქვეყნის 11 რეკორდი გააუმჯობესეს. ორმა მათგანმა ევროპის, ხოლო ერთმა — მსოფლიო მიღწევას გადააჭარბა.

ახლა სსრ კავშირის ნაკრები მიემგზავრება ამერიკაში, სადაც გამართავს შეხვედრას აშშ-ისა (ოსტინში 15-16 აპრილს) და კანადის (ოტავაში 20-22 აპრილს) მოცურავეებთან.

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ძიუდო.** მაიკოპში ჟურნალ „სოვეტსკიე პროფსოიუზის" პრიზზე გამართულ პირველ საერთაშორისო ტურნირში გდრ-ის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, გფრ-ისა და სსრ კავშირის 100-ზე მეტი ძიუდოისტი მონაწილეობდა. უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო. მათ 9-დან 8 წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს. მხოლოდ გ. დანგემ (გდრ, 71 კგ-მდე) შეძლო საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა.

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენები პირველობდნენ. II ადგილზე გავიდნენ გდრ-ის ძიუდოისტები, III ადგილი პოლონელებს ხვდათ.

**მძლეოსნობა.** კალიფორნიის შტატის ქალაქ ბერკლიში, ამერიკელი მძლეოსნების ღია ცისქვეშ ჩატარებულ პირველ შეჯიბრებაში კენიელმა ჰენრი რონომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 5000 მეტრზე რბენაში — 13.08,4. უწინდელი მიღწევა ეკუთვნოდა ახალზელანდიელ რიჩარდ კვეკსს, რომელმაც ეს მანძილი შარშან სტოკჰოლმში 13.12,9-ში დაფარა.

5-კილომეტრიანი დისტანციის რეკორდი კვლავ „დაბრუნდა" კენიაში. 12 წლის წინათ ამ დისტანციაზე მსოფლიო მიღწევის მფლობელი იყო რონოს თანამემამულე, ოლიმპიური ჩემპიონი კიპჩოგე კეინო. ამ ხნის განმავლობაში რეკორდი 16 წამით „გაიზარდა".

**ჰოკეი.** საბჭოთა ჰოკეისტებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი (5:1) და მეორე ნაკრებების საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვეს. ამ შეხვედრაში ორივე გუნდმა საინტერესო და ლამაზი თამაში აჩვენა. II ადგილზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები, III ადგილი ფინეთის ჰოკეისტებს ხვდათ.

## მაგიდის ჩოგბურთი

**სსრ კავშირის** მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებმა IV ადგილი დაიკავა ევროპის ლიგის პირველობაში, თუმცა ბოლო მომენტამდე იგი საპრიზო ადგილისთვის იბრძოდა.

პარიზში დასკვნითს მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა წააგეს საფრანგეთის გუნდთან (3:4), რომლებმაც პირველად გაიმარჯვეს ამ ტურნირში.

შეჯიბრების მთავარი ფავორიტები — უნგრელი ჩოგბურთელები, რომლებმაც ახლახან ბრწყინვალედ იასპარეზეს ევროპის ჩემპიონატში, დასკვნითს მატჩში შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის გუნდს და დამარცხდნენ ანგარიშით 2:5. საბოლოოდ საფრანგეთისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები ფინიშზე 5-5 გამარჯვებით მივიდნენ. I ადგილის ბედი მოგებული და წაგებული პარტიების უკეთესმა სხვაობამ გადაწყვიტა.

იგივე წესით განაწილდა მომდევნო სამი ადგილიც, ვინაიდან ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრებებს 4-4 ქულა ჰქონდათ (საკდესი).

## ქარგად იასპარეზეს

სოხუმში ჩატარდა სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტროს სასწავლო დაწესებულების მთავარი სამმართველოს პირველობა ფრენბურთსა და სპორტულ ტანვარჯიშში.

ფრენბურთელთა ტურნირს ამ ქალაქის „სპარტაკის" დარბაზი მასპინძლობდა, ხოლო ტანმოვარჯიშეები ოლიმპიურ სპორტბაზა „ეშერაში" ასპარეზობდნენ.

ორივე ტურნირში კარგად გამოვიდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების ნაკრები კოლექტივები: ფრენბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში მათ მოსკოველთა შემდეგ II ადგილი დაიკავეს, ხოლო ბიჭების პირველობაში, უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს.

სპორტულ ტანვარჯიშში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ მოსკოვის, აზერბაიჯანის, დასავლეთ ციმბირის, სვერდლოვსკის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის რკინიგზების გოგონათა და ვაჟუკების ნაკრები გუნდები. გოგონათა ასპარეზობაში კოლექტივები გამოიყვანეს, აგრეთვე, ჩრდილოეთის, ჩრდილო კავკასიისა და ალმა-ათის რკინიგზების საბჭოებმა.

ხუთდღიან შეჯიბრებაში გოგონათა შორის პირველობა მოიპოვა შუა აზიის რკინიგზის ნაკრებმა. მომდევნო ადგილები ერგოთ ამიერკავკასიისა და აზერბაიჯანის რკინიგზის სკოლების მოსწავლეებს.

ბიჭების ასპარეზობაში როლები შეიცვალა: აქ უძლიერესი აღმოჩნდა ამიერკავკასიის რკინიგზის ტანმოვარჯიშეთა გუნდი. II ადგილზეა აზერბაიჯანის, ხოლო მესამეზე — შუა აზიის რკინიგზის ნაკრები.

პირად პირველობაში განსაკუთრებით კარგად გამოვიდა თბილისელი მეხუთეკლასელი ვლადიმერ გოგოლაძე, რომელმაც პირველთანრიგოსანთა შორის უძლიერესის ტიტული მოიგო. გოგონათა შორის სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ქუთაისელმა მე-4 კლასის მოსწავლემ ფატი სულაქველიძემ.

**რ. ჩალაგოვი,**
**ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი.**

### კალათბურთი

## საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა

ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ბოლო მატჩი საბჭოთა გუნდმა წააგო მასპინძლებთან, ამერიკელ სპორტსმენებთან 82:107 (40:55). საბჭოთა კალათბურთელებმა მსოფლიოს ოთხი უძლიერესი გუნდის ტურნირში ერთი შეხვედრა მოიგეს, ორი წააგეს და მესამე ადგილი დაიკავეს. ამერიკელებთან მატჩში კარგად ითამაშა ბელოვმა, რომელმაც 32 ქულა შესძინა გუნდს. გამარჯვებულთაგან ყველამ თანაბრად ითამაშა. საუკეთესო იყო გივენსი — 15 ქულა.

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ამერიკელმა კალათბურთელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე არიან ევროპის ჩემპიონები — იუგოსლაველები, რომლებმაც უკანასკნელ მატჩში მოუგეს კუბელებს — 98:80 (54:26).

პროფკავშირთა რესპუბლიკური

## ორგანიზებულად დაიწყო

თბილისის „ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპარტაკიადა. ალუმის მონაწილეებს — „კოლმეურნის", „განთიადის", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „ვოდნიკის", „შრომითი რეზერვებისა" და „ლოკომოტივის" სპორტსმენებს მიესალმა და შრომაში, სწავლასა და სპორტში წარმატებები უსურვა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ბოჭორიძემ. მან აღნიშნა, რომ ეს სპარტაკიადა არის წლევანდელი დიდი სტარტებისთვის ძალთა დათვალიერება და შემოწმება იმ მუშაობისა, რასაც სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, მათი კოლექტივები სსრ კავშირის ხალხთა საგაისო VII სპარტაკიადისთვის აწარმოებენ.

სპარტაკიადის ალამი აღმართეს გუნდების კაპიტნებმა, რის შემდეგ ერთდროულად ორ ხალიჩაზე დაიწყო შეხვედრები კლასიკურ ჭიდაობაში.

ორთაბრძოლების უმეტესობა დაძაბულად მიმდინარეობდა. სპორტსმენები ძალასა და ენერგიას არ ზოგავდნენ, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ სპარტაკიადის საბოლოო ჩათვლაში ყოველი ქულა შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდეს.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ბათუმის პედინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის ჯ. მახარაძის მიერ ჩატარებული ბრძოლები. ჯემალი წარსულში საქართველოსა და სოფლის სპორტსმენთა შორის საკავშირო ჩემპიონატებში მრავალგზის გამარჯვებულ ამირან მახარაძის ვაჟია და ეტყობა მშობლის კარგ ტრადიციებს არ ჰკარგავს. მამა მის ყველა გამოსვლას გულმოდგინედ თვალყურს ადევნებდა და შვილიც ბრძოლებს ვაჟამდე ამთავრებდა.

სეზონისთვის კარგად მომზადებულა 17 წლის სპარტაკელი ოსტატობის კანდიდატი ვ. სეფერთელაძე. იგი სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობის II პრიზიორია და ყმაწვილს, ჩანს, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა განუზრახავს. მართალია, ამ სპარტაკიადაში მას რკინიგზელმა ზ. წკრიალაშვილმა აჯობა, მაგრამ სეფერთელაძის შემტევი სტილი და კარგი ფიზიკური მომზადება სპორტსმენს ბევრს პირდება.

უდავოდ ნიჭიერი, პერსპექტიულია „განთიადის" გუნდის წევრი ნ. მუჟიჩენკო, რომელმაც ყველა შეხვედრა ვადამდე მოიგო.

შარშან სსრ კავშირის II ახალგაზრდულ თამაშები შესანიშნავად იასპარეზა „კოლმეურნის" წევრმა დ. ყიფიანმა. ამ ჭაბუკმა არც ახლა შეირცხვინა თავი და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ „კოლმეურნის" სპორტსმენებმა, რომლებიც სპარტაკიადისთვის სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. ჩხარტიშვილმა მოამზადა, ყველაზე მეტ — ხუთ წონით კატეგორიაში იმარჯვეს. მათ საბოლოოდ 87 ქულა მოაგროვეს და 7 ქულით ჩამოიტოვეს „ბურევესტნიკის" ნაკრები.

გუნდურ ჩათვლაში მომდევნო ადგილებზე არიან: „ლოკომოტივი" — 67 ქულა, „განთიადი" — 59, „სპარტაკი" — 55, „შრომითი რეზერვები" — 42 და „ვოდნიკი" — 19.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირი ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარდა, რაც სპორტდარბაზის დირექციისა და შეჯიბრების უფროსი მსაჯის, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრის ლ. ხართიშვილის დამსახურებაა. მასპინძელთა ზრუნვით ხაასპარეზო სპორტსაზოგადოების დროშებით, ლოზუნგებითა და

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •



**სურათზე:** დ. გელაშვილისა და ზ. წკრიალაშვილის შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა წკრიალაშვილმა.

ე. ხუცურაულის ფოტო.

### თანამედროვე ხუთჭიდი

## საქართველოს დინამოელთა III ადგილი

**ამ დღეებში** კიევში, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თანამედროვე ხუთჭიდელთა პირადგუნდურ ჩემპიონატში კარგად იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. 11 კოლექტივს შორის საქართველოს ნაკრები, რსფსრ-ისა და უკრაინის შემდეგ, III ადგილზე გავიდა და ჩამოიტოვა ბელორუსიისა და ყაზახეთის გუნდები. ეს ხუთი გუნდი იქ ლისში, სსრ კავშირის ჩემპიონატში იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდნენ: ი. ბრიზგალოვი, დ. გრიგორი, მ. ნოვოსელცოვი, ვ. გომელკო.

დინამოელთა კიევის ტურნირში ბევრი უძლიერესი ხუთჭიდელი მონაწილეობდა, მაგალითად, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. რიაბიკინი (მოსკოვი), ო. ბულგაკოვი (კრასნოდარი), იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონები გ. ნეფედოვი და გ. გოლოვტინი (ორივე — მოსკოვი).

**ზ. ქვათაძე.**

# საქართველოს სპორტკომიტეტში

გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა.

კოლეგიამ იმსჯელა რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ითქვა, რომ უკანასკნელ წლებში თბილისის განათლების განყოფილების და „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლებმა, თბილისის განათლების განყოფილების სპორტულმა სკოლამ („ავაზა“), ქუთაისის განყოფილების სპორტულმა სკოლამ და „განთიადის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ გააუმჯობესეს მუშაობა ოსტატთა გუნდებისათვის რეზერვის მოსამზადებლად.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობა არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს, რის შედეგად რამდენადმე გაუარესდა სპორტული მიღწევები: მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა გუნდმა წარმატებას უკანასკნელად 1968 წელს მიაღწია, ხოლო საკავშირო მოზარდთა ნაკრებ გუნდებში რესპუბლიკის წარმომადგენლობა არ შეესაბამება ჩვენს შესაძლებლობებს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სპორტსკოლებისა და მოსამზადებელი ჯგუფების უმრავლესობაში სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. სუსტად მუშაობენ მეორე ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების — გორის „დილას“, სოხუმის „დინამოს“, ზუგდიდის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ მოსამზადებელ ჯგუფებში; მწვრთნელები წვრთნას ხელმძღვანელობენ პროგრამის გარეშე; სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა არაინტენსიურია; არის მწვრთნელების მიერ მეცადინეობათა გაცდენის შემთხვევებიც.

ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარებისთვის დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

კოლეგიამ განიხილა სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების 1977 წლის გეგმების შესრულების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკამ სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების 1977 წლის გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით გაანაღდა, (ნაცვლად 230 სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა, მომზადებულია 247, 15 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა — 22) არ შესრულდა გეგმები სპორტის ცალკეულ სახეობებში — ველოსპორტში (გზატკეცილი), მძლეოსნობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში...

ითქვა, რომ ვერცერთმა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებამ ოსტატების მომზადების გეგმა ნომენკლატურის მიხედვით ვერ შეასრულა. აღინიშნა ამ მიმართებით უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლების სუსტი მუშაობა.

კოლეგიამ იმსჯელა, აგრეთვე, 1977 წლის 2 ივლისს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად თბილისის ლენინის რაიონის 160-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის შესახებ.

კოლეგიამ დაამტკიცა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე მშდ მრავალჭიდში 1978 წლის რესპუბლიკური პირველობის ჩატარების დებულება.

ველოსპორტში ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორად კოლეგიამ დაამტკიცა ო. ფხაკაძე.

## ხვალინდელ დღეზე ფიქრით

# ფიზიკური წრთობა — ბავშვობიდანვე!

ბავშვის ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას ძირითადად ის გარემო განსაზღვრავს, რომელშიც იგი ცხოვრობს და იზრდება. ჩვენი ქვეყნის საბავშვო ბაღებში მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საკითხები გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მხარდამხარ წყდება. სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულება წარმოადგენს სახალხო განათლების სისტემის საწყის საფეხურს, სადაც ორგანიზებულად ხორციელდება ნორჩების მომზადება სკოლისთვის.

პედაგოგიკის კლასიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ბავშვი ემოციებით ცხოვრობს და აღიქვამს სამყაროს, არაფერს უშინდება და ყოველთვის მზადაა სამოქმედოდ. საინტერესოა, რომ ბავშვი თავისი „შემოქმედებით“ უფრო აქტიურია, ვიდრე მოზრდილი, ოლონდ ეგაა, პატარებს ცოდნა და გამოცდილება აკლიათ. სამწუხაროდ, აღმზრდელები და მშობლები ზოგჯერ სათანადოდ ვერ აფასებენ პატარების მოთხოვნილებას მოძრაობისადმი. ისინი კმაყოფილი არიან, როდესაც ბავშვები ხატავენ, ძერწავენ, უსმენენ ზღაპრებს, უცქერიან ტელევიზორს, ანდა სულაც არაფერს აკეთებენ. მოძრაობის შეზღუდვა აფერხებს ფიზიკურ განვითარებას და შემდგომ ასაკობრივ ეტაპზე ბავშვი კარგავს ამა თუ იმ აუცილებელ მოძრაობით უნარ-ჩვევას. უმოძრაობა უარყოფითად მოქმედებს, აგრეთვე, ნორჩი ორგანიზმის ზრდა-განვითარებაზე. უყურადღებობით ყველაზე მოძრავ ბავშვშიც კი შეიძლება შეფერხდეს მოძრაობითი თვისებებისადმი მოთხოვნილება და ამან პათოლოგიური ცვლილებები გამოიწვიოს (აღნაგობის დარღვევა, ხერხემლის გამრუდება, მოდუნება, სიმსუქნე და სხვა).

მოძრაობა, სიარული და რბენა მოზარდის ბუნებრივი ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, ამიტომ საჭიროა ბავშვებს შევუქმნათ მხიარული გარემო, მეცადინეობა დაკავშირებული უნდა იყოს მოძრაობასთან და თამაშობებთან.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ასაკში ეყრება საძირკველი ფიზიკური წრთობის შემდგომ ეტაპს.

მართალია, ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება, მაგრამ მაინც დაბალ დონეზე დგას მათი ფიზიკური აღზრდის საქმე. ყოველდღიური დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში და კვირაში ორჯერ მეცადინეობა ფიზიკურ აღზრდაში, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, საბავშვო დაწესებულებათა უმრავლესობაში ესეც არ ტარდება როგორც წესი და რიგია. ისიც უნდა ითქვას, რომ აღმზრდელთა გარკვეული ნაწილი სათანადოდ ვერ ფლობს ფიზიკური აღზრდის საქმეს, საჭირო დონეზე ვერ ატარებს მეცადინეობას ფიზკულტურაში.

ცნობილია, რომ ბავშვის ორგანიზმის გამოწრთობისთვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა. ბავშვები, რომლებიც სუფთა ჰაერზე ხანგრძლივად იმყოფებიან, თამაშობენ, ასრულებენ მსუბუქ ვარჯიშებს, სიცოცხლით სავსე და ჯანსაღნი არიან. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ, რომ საბავშვო ბაღებში, სადაც ფიზიკური წრთობის პროცედურები სისტემატურად ტარდება (წყლის პროცედურები, სხეულის დაზელვა სველი, გაწურული პირსახოცით, ფეხების დასველება გრილ წყალში), ავადმყოფობის შემთხვევები 10-15 პროცენტით დაბალია, ხოლო თუ ბავშვები საცურაო აუზში მეცადინეობენ, ავადმყოფობა თითქმის გამორიცხულია.

ამას რომ ვამბობთ, ცხადია იმასაც ვგულისხმობთ, რომ საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სპორტული დარბაზებითა და ინვენტარით. ეზოში ყველა ჯგუფს უნდა ჰქონდეს მოძრავი თამაშების ცალ-ცალკე ჩატარების შესაძლებლობა. ერთი სიტყვით, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებაში ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ სპორტული სკოლები შეფობას გაუწევენ საბავშვო ბაღებს, მოაწყობენ მარტივი ტიპის სპორტულ [illegible] და პრაქტიკულ [illegible] უწევენ აღმზრდელებს. საბავშვო ბაღის შემდეგ ბავშვები, რასაკვირველია, იმავე მიკრორაიონის საშუალო სკოლაში დაიწყებენ სწავლას. თუ მათთვის სკოლაშიაც გაიხსნება სპეციალური ჯგუფები და გაგრძელდება სისტემატური მეცადინეობა, მაშინ, რა თქმა უნდა, შედეგიც უკეთესი გვექნება. ჯერ ერთი, სპორტულ სკოლებს შესაძლებლობა ექნებათ სექციებისთვის მოამზადონ და შეარჩიონ პერსპექტიული მოზარდები და, რაც მთავარია, გვეყოლება ჯანმრთელი და გამოწრთობილი მომავალი თაობა. არც ის იქნება ურიგო, თუ სპორტსკოლებში შეიქმნება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯგუფები.

ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში საბავშვო ბაღებს არა მარტო სპორტული დარბაზები, არამედ საცურაო აუზები ამშვენებს. ამ მხრივ საინტერესოა ვოლგა-დონსკის გამოცდილება. აქ სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით თითქმის ყველა საბავშვო ბაღში აშენდა საცურაო აუზი.

იქნებ დადგა დრო ჩვენც გადმოვიღოთ ვოლგადონსკელთა მაგალითი?

დაბოლოს, მინდა გავიმეორო ის აზრი, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ყველა სფეროში ხვალინდელი წარმატებები დამოკიდებულია დღევანდელ ნორჩ თაობაზე და ამას სწორედ სკოლამდელ ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

**კ. სალუქვაძე.**

## ჩოგბურთის ახალგაზრდა ოსტატებთან

დონეცკელ ბიჭუნებს და გოგონებს შორის ძალზე პოპულარულია სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივთან“ შექმნილი ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპორტული სკოლა. ზაფხულობით ნორჩების განკარგულებაშია 10 პირველხარისხოვანი კორტი, ზამთრობით კი — შესანიშნავად აღჭურვილი დარბაზები.

• • •

სურათზე: სკოლის მწვრთნელი ო. ბაბიი თავის მოწაფე ტ. მიშჩენკოსთან.

საკდესის ფოტო.



# ორგანიზებულად დაიწყო

დასასრული

ტრანსპარანტებით საზეიმოდ მორთოთ. ყველაფერი ეს ტურნირს ეშხს მატებდა.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ზოგი რამ, რაც ასპარეზობას ერთგვარ ჩრდილს აყენებდა.

ორიოდე წლის უკან „ლელო“ წერდა „ლოკომოტივის“ სპორტის სასახლის სანიტარული კვანძების უხეირო მუშაობაზე. მაშინ გაზეთის სიგნალი უკვალოდ არ დარჩენილა. როგორც რედაქციას ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან აცნობეს, „ლოკომოტივის“ სპორტის სასახლეს რემონტი გაუკეთდა, მაგრამ ეტყობა იმდენად უხარისხოდ, რომ ახლა აქ იგივე მდგომარეობაა. გასახდელები, საშხაპეები, საკვანძი კაპიტალურად შესაკეთებელია.

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარემ თ. ქობულაძემ გვითხრა: ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა № 4 დისტანციის სპეციალისტები უკვე თვენახევარია ამ ბაზას არემონტებენ, ელმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექციის დახმარებით მოგვარდა გათბობის საკითხი, დისტანციის სპეციალისტები ამჟამად ზედა სართულის ოთახების შეკეთებაზე მუშაობენ, მერე სანკვანძსაც მიხედავენ...

ეს კარგია, მაგრამ ტემპი აშკარად არ კმარა. თუ თვენახევარში აქ იმის მეტის გაკეთება ვერ შეძლეს, რაც ვნახეთ, რემონტი ალბათ მთელ წელს გაჭიანურდება. იმედია სამოქალაქო ნაგებობათა № 4 დისტანციის ოსტატები დარბაზში სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა (იგი აპრილის დამლევს ეწყობა) ტურნირის დამთავრებისთანავე განაახლებენ საქმეს და მოკლე დროში ხარისხიანად შეასრულებენ.

პრიზიორები: 48 კგ. ნ. მუჟიჩენკო („განთიადი“), გ. სუქიაშვილი („ლოკომოტივი“), ჯ. ბარბაქაძე („შრომითი რეზერვები“);

52 კგ. თ. ხატიაშვილი („კოლმეურნე“), ა. გიჯაშვილი („ლოკომოტივი“), რ. ჯეირანოვი („სპარტაკი“);

57 კგ. რ. ღამბაროვი („კოლმეურნე“), დ. ბაქრაძე („ბურევესტნიკი“), ბ. გოგინაშვილი („განთიადი);

62 კგ. ზ. წკრიალაშვილი („ლოკომოტივი“), ვ. სეფერთელაძე („სპარტაკი“), დ. გელაშვილი („კოლმეურნე“);

68 კგ. მ. ჭავჭანიძე („ბურევესტნიკი“), დ. სოკრატიდისი („ლოკომოტივი“), ზ. ბოქოლიშვილი („განთიადი);

74 კგ. მ. მაისურაძე („კოლმეურნე“), ლ. გიგოლაევი („ბურევესტნიკი“), თ. მარშანიშვილი („განთიადი“);

82 კგ. ჯ. მახარაძე („ბურევესტნიკი“), გ. რაჩიკაშვილი („სპარტაკი“), გ. მაღრაძე („ლოკომოტივი“);

90 კგ. ვ. ტოგონიძე („ბურევესტნიკი“), ა. სანიკიძე („შრომითი რეზერვები“), ნ. ჩაჩანიძე („კოლმეურნე“);

100 კგ. ა. ჭელიძე („კოლმეურნე“), ს. დოლიძე („განთიადი“), ა. ქანთარია („ბურევესტნიკი“);

100 კგ-ს ზევით. დ. ყიფიანი („კოლმეურნე“), ზ. ავლოხაშვილი („ბურევესტნიკი“), ე. ალავიძე („ლოკომოტივი“).

**ო. ივლოშვილი.**

### ცხაკაია

რაიონის წარმოება-დაწესებულებების მოშაშეთა პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც 20 კოლექტივი მონაწილეობდა, მიეძღვნა ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების კოლექტივმა.

• • •

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლის მოჭიდავეებმა (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. ჯოჯუა).

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ა. ოჩიგავა, გ. ინჯგია, მ. ქუხალეიშვილი, გ. ნაროუშვილი, მ. ცეკვავა, ლ. სიორდია, ნ. ჭითაშვილი, ნ. ჭითავა, თ. გუგუნავა, ნ. ცხადაია, ა. ჯანჯღავა, ე. დამენია, მ. თევდორაძე.

**ე. გუგუნავა.**
**(ჩვენი კორ.).**

### ლენინგორი

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს ჩემპიონის სახელი ჭადრაკში მოიპოვა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. მღებრიშვილმა.

**ვ. მელქაძე.**

გორის სპორტსკოლის კალათბურთის დარბაზში რვა დღეს გრძელდებოდა საქართველოს სსრ მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ხელბურთში. სარბიელზე გამოდიოდნენ გორის, გურჯაანის, ახმეტის, ლანჩხუთის, აბაშის, წულუკიძისა და სხვა რაიონების ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები.

# მოსწავლეთა ზონალური

გოგონათა შორის გადამწყვეტი შეხვედრები კარგად ჩაატარეს ახმეტის, ლანჩხუთისა და გორის რაიონის წარმომადგენლებმა და ადგილებიც თანმიმდევრულად გაინაწილეს. ჭაბუკებში პრიზიორები გახდნენ გორის, გურჯაანის და წულუკიძის გუნდები და გათამაშების შემდგომ ეტაპში გავიდნენ.

**ი. თევდორაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





უმაღლესი ლიგა

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 41-ე საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურში გატანილი გოლების ავტორთა ვინაობა:

„ფახტაქორი“ — ცსკა 1:0. ერთადერთი გოლი ფიოდოროვმა გაიტანა 58-ე წუთზე.

„ქაირათი“ — „ლოკომოტივი“ 2:2. ამ მატჩში ალმაათელები ორჯერ იყვნენ წინ იონკინის (11-მეტრიანი) და გოროხოვოდაცკის დარტყმების შემდეგ, მაგრამ ავერიანოვმა და შევჩუკმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

„შახტიორი“ — „ზარია“ 2:0. ბურთები გაიტანეს სოკოლოვსკიმ და როგოვსკიმ.

აღსანიშნავია, რომ წესრიგის სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი ერევნის „არარატისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ შეხვედრაში. გაფრთხილებულია ერევნელი ოგანესიანი, „ზენიტის“ მხრივ გაფრთხილებები მიიღეს გოლუბევმა, ლოხოვმა, დამინი კი გაძევებული იქნა მინდვრიდან. გაფრთხილება მიიღო ალმაათელმა ბაიშაკოვმაც.

მოსკოვის „სპარტაკთან“ მატჩში კარგად ითამაშეს დინამოელებმა. ორი უპასუხო გოლი, მეორე ტაიმის კარგა მნიშვნელოვან მონაკვეთში ჩვენი ფეხბურთელების მიერ ნაჩვენები მართლაცდა ნამდვილი ფეხბურთი — კომბინაციების სილამაზე, ჰარმონია, ამის თქმის უფლებას ნამდვილად იძლევა. რა თქმა უნდა, კარში გატანილ ყველა ბურთს თავისი ლოგიკა აქვს, სხვანაირად რომ ვთქვათ, შემთხვევითი გოლები არ არსებობს. მაგრამ გულშემატკივრები, თვითონ ფეხბურთელებიც უფრო მეტ კმაყოფილებას განიცდიან, როცა გოლი საჭიროს გარდა ეფექტური, ლამაზიც არის.

ვფიქრობთ, ასეთთა რანგს განეკუთვნება ფოტოებზე (ავტორი გ. დოლენჯაშვილი) აღბეჭდილი შენგელიასა და ყიფიანის გადამწყვეტი დარტყმებიც.

სსრ კავშირის პირველობა

# მატჩი შედგება ყოველგვარ ამინდში

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 9 აპრილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:0 (0:0)

„ტორპედო“: მ. კვერნაძე, სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, ფარულავა, თევზაძე, ბურკაძე, ქვირია, ფესტვენიძე, ა. კვერნაძე (ჩომაკაძე), შელია.

„დინამო“: პრონინი, ბელოვი, როჟოვი, ქოხონელიძე, შევჩენკო, ზარიანოვი, სტეპანოვი, ზინჩენკო, სტრეპეტოვი, ანტონოვი, ხრომჩენკოვი.

მსაჯი კ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები — 0:2.

ცნობილ საბჭოთა მწერალს ლ. კასილს აქვს შესანიშნავი მოთხრობა „მატჩი შედგება ყოველგვარ ამინდში“. როცა ამ მოთხრობას წერდა, მას ალბათ სწორედ ისეთი ამინდი ჰქონდა მხედველობაში, როგორიც გათამაშების გახსნას დაესწრო ქუთაისში. წვიმდა კოკისპირულად, გადაუღებლად, მინდორი გაუვალმა გუბეებმა დაფარა და საოცარი იყო, როგორ ახერხებდნენ ფეხბურთელები ბურთის მოთვინიერებას, ან რა გამძლეობა გამოიჩინეს მაყურებლებმა მატჩის ბოლომდე.

ასეთ პირობებში წარმატების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადება, აქ კი საუკეთესო თვისებები გამოავლინეს ტორპედოელებმა. ისინი ბევრს მოძრაობდნენ, აქტიურობდნენ, საშუალებას არ აძლევდნენ მეტოქეს ხელთ აეღოთ ინიციატივა და თუ გუნდმა მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლო თავისი უპირატესობის რეალიზება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მანამდე გამოუყენებელი დარჩა გოლის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა.

მე-5 წუთზე პრონინმა შეძლო ბურკაძის ძლიერი დარტყმის მოგერიება, ხოლო შემდეგ იმავე ბურკაძემ ოდნავ ააცილა კარს ბურთი. 35-ე წუთზე ფარულავა — შელიას კომბინაციის შედეგად „დინამოს“ კართან კვლავ შეიქმნა სახიფათო მომენტი და კვლავ იმარჯვა პრონინმა.

ტორპედოელებმა მეორე ტაიმი კიდევ უფრო კომბინაციურად, ურთიერთშეთანხმებით წარმართეს. ერთ-ერთ მომენტში ფესტვენიძემ ხელიდან გაუშვა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ 54-ე წუთზე მან გამოასწორა თავისი შეცდომა, დროულად გადააწოდა ბურთი შელიას და ამ უკანასკნელმა ეფექტურად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 1:0.

63-ე წუთზე სტუმრების კარისკენ საჯარიმო დარტყა ფარულავამ. სულაქველიძე, რომელმაც საუკეთესოდ ჩაატარა ეს მატჩი, სწრაფად გავიდა წინ, თავით მიიღო ბურთი და ზუსტად გაგზავნა იგი მეტოქეთა კარის ბადეში — 2:0. ამის შემდეგ ანგარიშის გაზრდა შეეძლო ფესტვენიძეს, შელიას, მაგრამ ლენინგრადელები გადაურჩნენ ხიფათს. ქუთაისის „ტორპედომ“ მძიმე პირობებში კარგად ჩაატარა გათამაშების პირველი მატჩი და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

ზ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით ჩვენი კორ.).

ფეხბურთი

●

**9 აპრილს** დაიწყო საკავშირო გათამაშება I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. პირველი ტური ასეთი შედეგებით დამთავრდა:

„პამირი“ (დუშანბე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (მინსკი) 2:4, ასკ (დონის როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0, „თერგი“ (გროზნო) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:1, „კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (ოდესა) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:2.

## II ლიგა

### „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (კიროვი)

### 1:1

საკავშირო გათამაშების II ტურში სოხუმის დინამოელთა მეტოქე იყო კიროვის თანაკლუბელთა გუნდი. მატჩი მასპინძლებმა მონდომებით დაიწყეს და მეტოქე აიძულეს დაცვაზე გადასულიყო. მასპინძლებს შეეძლოთ გაეხსნათ ანგარიში, მაგრამ რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული, მერე კი სოხუმელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ჟუკოვმა — 1:0.

საპასუხო გოლის გატანას დიდი დრო დასჭირდა. თამაში უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა კიროველთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი. ხარტაკოპულოს დარტყმამ მიზანს მიაღწია და მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები — 1:1.

ზ. ჯალაღონია.

(დეპეშით ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

**მოგვყავს** პირველი 2 ტურის იმ მატჩების შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული:

**4 აპრილი.** „შირაკი“ (ლენინაკანი) — „გასტელო“ (უფა) 2:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 2:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 3:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 1:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 0:1.

**7 აპრილი.** „შირაკი“ — „ტურბინა“ 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი — „გასტელო“ 1:1, „კოტაიკი“ — „გაზოვიკი“ 1:0, „ყარაბახი“ — „ავტომობილისტი“ 1:0, „ხაზარი“ — „ტორპედო“ 1:0, „არაზი“ — „პროგრესი“ 3:2, „გურია“ (ლანჩხუთი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 4:1, „დილა“ (გორი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 1:1.

ჭადრაკი

**იანვრის** მიწურულს იუგოსლავიის ქალაქმა კიკინდამ უმასპინძლა გოგონათა შორის ევროპის თასის II გათამაშებას, რომელშიც ბრწყინვალედ გაიმარჯვა თბილისელმა ოსტატმა ნანა იოსელიანმა.

ქართველი მოჭადრაკის ამ წარმატების შესახებ ახლა ყველამ იცის, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებში თითქმის არაფერი დაწერილა იმის შესახებ, თუ როგორი ბრძოლა გადაიტანა ჩვენმა თანამემამულემ. ამ ასპარეზობას სისტემატურად და კვალიფიცირებულად აშუქებდა ზაგრების სპორტული გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“. გთავაზობთ ამ გაზეთის მიხედვით თასისთვის ბრძოლის მიმდინარეობას.

გოგონათა შორის ევროპის თასის გათამაშება ფიდე-მ შარშან შემოიღო. I გათამაშებაში თასი დაისაკუთრა პოლონელმა ბ. სიკორამ. ამ ტურნირში სსრ კავშირის წარმომადგენელს მონაწილეობა არ მიუღია. ფიდე-მ II გათამაშების მასპინძლობა იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციას დაავალა. ამიტომაც კიკინდაში (ვოევოდინას რესპუბლიკა) გახსნის საზეიმო ცერემონიალს ფედერაციის პრეზიდენტი ბ. კაჟიჩიც დაესწრო.

შეჯიბრებაში მიწვეული იყვნენ 16-20 წლის მოჭადრაკე გოგონები. საასპარეზოდ 14 ქვეყნის 18 წარმომადგენელი გამოცხადდა. საბჭოთა ქვეყნის სახელით ბრძოლაში სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 15 წლის ნ. იოსელიანი ჩაება. „სპორტსკე ნოვოსტის“ კორესპონდენტი პირველსავე ინფორმაციაში აღნიშნავდა, რომ ფავორიტები არიან: იოსელიანი, უნგრელი ტ. ჩონჩიკი და იუგოსლავიელი დ. ჩაიჩი. ეს პროგნოზი შემდგომ მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, ცხრა ტურად მოეწყო. ამ გარემოებამ, როგორც გაზეთი აღნიშნავს, განსაკუთრებული სიმძაფრე და ელფერი მისცა გოგონების თამაშს.

სტარტზე დაწინაურდნენ იოსელიანი, რუმინელი მ. ილიე, იუგოსლავიელი ბ. შტადლერი და შვედი ა. კრამლინგი. მათ პირველი ორი პარტია მოიგეს.

I ტურში ნანამ მხედრის მოხდენილი შეწირვით სძლია ბულგარელ ა. ალექსანდროვას. მეორე დღეს მან დაამარცხა იუგოსლაველი ნ. ჟივკოვიჩი. ამ პარტიამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გაზეთის კორესპონდენტზე, მან საგანგებოდ აღნიშნა:

# ბრძოლა თასისთვის

### ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ მიხედვით

„მთავარი ფავორიტია ქართველი იოსელიანი“.

აი, ეს პარტიაც:

**ჟივკოვიჩი — იოსელიანი**

1. b3 e5 2. კb2 მc6 3. e3 a6 4. d4 ed 5. ed d5 6. მf3 მf6 7. კd3 კd6 8. 0—0 0—0 9. h3 ეe8 10. c4 მb4 11. მe5 მ:d3 12. ლ:d3 dc 13. მc4 კf8 14. მbd2 b5 15. მe3 მh5 16. ლe2 ლg5 17. ლf3 ეb8 18. მe4 ლg6 19. მc5 კd6 20. ეfe1 მf4 21. მd5 მ:h3+ 22. მფf1 კg4 23. ლd3 ლh5 24. მe4 ლd5 25. მ:d6 cd 26. ლg3 კf5 27. ეe3 მg5 28. ეae1 ე:e3 29. ლ:e3 g6 30. ეc1 b4 31. f3 ლb5 32. მფg1 ეe8 33. ლf4 ეe2 34. კa1 კh3 35. g4 ლd3. ჟივკოვიჩი დანებდა.

„სპორტსკე ნოვოსტი“ დაუფარავად ქომაგობდა შეჯიბრების მასპინძლის — ვოევოდინას რესპუბლიკის გოგონათა ჩემპიონს, ცნობილი იუგოსლაველი დიდოსტატი ქალის ტ. შტადლერის ქალიშვილს ბრიგიტას. მაშინაც, როცა გოგონა დამარცხდა III ტურში ილიესთან პრინციპულ შეხვედრაში, გაზეთმა შეაქო მისი თავდადებული წინააღმდეგობა.

ვერ ააწყო თამაში თასის მფლობელმა სიკორამ. IV ტურში მას შტადლერმა მოუგო. კვლავ წარმატებით მიიწევდნენ წინ კრამლინგი, ილიე, შტადლერი და ბ. ჰუნტი (გფრ). ერთპიროვნულად კი იოსელიანი ლიდერობდა.

ნანა დაუზავდა კოლდვილს (ინგლისი), მერე, IV ტურში მოუგო ილიეს. ამ პარტიაში დიდი ბრძოლა გაჩაღდა, განსაკუთრებით გართულდა იგი ეტლების დაბოლოებაში. V ტურში იოსელიანი ყაიმზე შეუთანხმდა ჰუნტს და 4 ქულით გათამაშებას სათავეში ჩაუდგა.

ფინიშზე დაწინაურებულთა ჯგუფს შეუერთდა ჩეხოსლოვაკიელი ი. კლიმოვა, რომელთანაც VI ტურის შეხვედრა ნანამ ყაიმით დაამთავრა.

„სპორტსკე ნოვოსტი“ ცდილობდა მკითხველისათვის გაეცნო ბრძოლის დაძაბული რიტმი. VII ტურის ანგარიშს სათაურად ჰქონდა „ჰუნტმა გაასწრო იოსელიანს“. მართლაც, გერმანელ მოჭადრაკეს 5 ქულა ჰქონდა, ნანას — 4,5, ისე როგორც კლიმოვას, კრამლინგსა და კოლდვილს, ოღონდ მას ექვსი პარტიიდან. საანგარიშო ტურის პარტია შტადლერთან იოსელიანმა მოსაგებ პოზიციაში გადადო. იმავე საღამოს მან დაატყვევა იუგოსლავიელის გვირგვინოსანი და 5,5 ქულით კვლავ დაწინაურდა.

VIII ტურში იოსელიანმა მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა მოუგო კრამლინგს. ამ გამარჯვებამ ნანას თასი მოუტანა.

**იოსელიანი — კრამლინგი**

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d3 d5 3. მd2 მf6 4. მgf3 მc6 5. g3 de 6. de კc5 7. კg2 0—0 8. 0—0 e5 9. h3 ლe7 10. c3 a5 11. ლc2 h6 12. ეe1 კe6 13. მf1 ეfd8 14. მe3 კ:e3 15. კ:e3 ეd7 16. მd2 მe8 17. f4 მd6 18. b3 b6 19. f5 კf7 20. g4 a4 21. h4 მb5 22. კf1 მd6 23. მფh2 b5 24. კc5 ლd8 25. მf3 მa5 26. ba ba 27. ლg2 კc4 28. კ:c4 კa:c4 29. g5 hg 30. hg fg 31. ეe2 ეd3 32. მ:g5 ლf6 33. ლg4 მb7 34. კf2 მcd6 35. ეg1 ეd8 36. ლh5 მf7 37. ლh7+ მფf8 38. მe6+ მფe7 და კრამლინგი დანებდა.

ამ დღეს ჰუნტი, კლიმოვა და კოლდვილი ყაიმს დასჯერდნენ. ამიტომ დასკვნით, IX ტურში ნანა სწრაფად დაუზავდა (12 სვლაში) ჩაიჩს და I ადგილი გაინაღდა.

„სპორტსკე ნოვოსტიმ“ 3 თებერვალს ნომერში მოათავსა დასკვნითი წერილი — „ნანა იოსელიანის ტრიუმფი“. კორესპონდენტი ნანას უქებდა ბრძოლისუნარიანობას, სტილს, წერდა, რომ ქართველმა ოსტატმა ხუთი პარტია მოიგო, ოთხი ყაიმით დაამთავრა.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს მონაწილეთა საბოლოო შედეგები: ნ. იოსელიანი — 7 ქულა, ი. კლიმოვა — 6, მ. ილიე, ბ. ჰუნტი, ბ. შტადლერი — 5,5-5,5. ბოლოს გაზეთი დასძენს, რომ ბ. სიკორამ ვერ გაამართლა იმედები.

თ. ნინოშვილი.

მძლეოსნობა

**დონეცკში** გაიმართა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ახალგაზრდა მძლეოსანთა შორის.

100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ქუთაისელმა სპორტსმენმა ბ. ბატანაგოვმა (მწვრთნელი ა. ალექსეევი) — 10,9. მანვე 60 მეტრზე რბენაში II ადგილი დაიკავა — 6,9.

გუნდურ ჩათვლაში ამიერკავკასიის „ლოკომოტივის“ კოლექტივი III ადგილზე გავიდა.

ი. ბუხაიძე.

# ოლიმპიური ძიების ნიშნით

— სიმაღლეზე ხტომაში ხარეკორდო — 235 სანტიმეტრი, რომელიც 19 წლის ზაპოროჟიელმა სტუდენტმა ვ. იაშჩენკომ დაიპყრო, გასული ზამთრის მძლეოსნური სეზონის უდავოდ დიდი მოვლენა იყო, — თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ, მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლ. ხომენკოვმა. — ასეთი რეკორდები (როცა სპორტსმენი დარბაზში უფრო მაღალ შედეგს აღწევს, ვიდრე სტადიონზე) მძლეოსნობაში თითებზე ჩამოსათვლელია. საამაყოა, რომ სიმაღლეზე ხტომაში ორივე რეკორდი — სტადიონზეც და დარბაზშიც — კვლავ საბჭოთა სპორტსმენს ეკუთვნის.

**— რა შეგიძლიათ თქვათ განვლილი ზამთრის მძლეოსნურ სეზონზე მომავალი „ოლიმპიადა-80-ის" პოზიციებიდან?**

— ჩვენი ფედერაციის საქმიანობა ოლიმპიური ძიების კალაპოტით მიმდინარეობს. თუმცა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელზე ცოტა მეტი დარჩა, მაგრამ მჯერა, რომ საბჭოთა ოლიმპიურ რაზმეულს სათანადო შევსებას კიდევ მოვუძებნით.

ჩვენი მძლეოსანთა გუნდი მონრეალში ყველაზე „ხანდაზმული" აღმოჩნდა. მაშასადამე, ვეტერანებმა გზა უნდა დაუთმონ ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენებს, რომლებიც დარჩენილ დროში შეძლებენ არა მარტო მსოფლიო დონის შედეგების მიღწევას, არამედ მძლეოსნობის მთელ რიგ სახეობებში ჩამორჩენის ლიკვიდაციასაც.

მაგრამ ამისთვის მარტო ტალანტი როდი კმარა, ასევე აუცილებელია შემართება, უდიდესი სურვილი, აღიარებულ ავტორიტეტებთან პირად დაგაში სიმამაცე. აი, სწორედ ასეთი თვისებები გამოავლინეს ზამთრის სეზონში ნიკოლოზ ჩერნეცკიმ, ვლადიმერ ცეპელიოვმა, ვლადიმერ სერგიენკომ.

განსაკუთრებით მომეწონა ჩერნეცკი. ისეთ ადამიანებსაც კი, რომლებიც თავიანთ თავს მძლეოსნობის მცოდნეებად თვლიან ამ ზამთრამდე ჩერნეცკის სახელი ბევრ არაფერს ეუბნებოდა. ამ სპორტსმენს 18 წელი სულ ახლახან შეუსრულდა, მაგრამ 400 მეტრზე რბენაში მისი წარმატებები ბევრის მთქმელია, ვაჟთა მძლეოსნობის ამ ტრადიციულად ჩამორჩენილ სახეობაში ნიკოლოზს საკმაო ტაქტიკური ინტუიცია აქვს, რომლის წყალობითაც იგი მედგრად ებრძვის ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორიცაა იტალიელი მენეა, პოლონელი პოდლიასი, ამერიკელი მორბენლები და სხვ.

**— უკანასკნელ წლებში რბენა (განსაკუთრებით ვაჟებისა საშუალო და გრძელ დისტანციებზე და ნაწილობრივ ქალთა შორის) იყო ჩვენი მძლეოსნობის „აქილევსის ქუსლი". შეიცვალა თუ არა ამჟამად ეს მდგომარეობა?**

— სამწუხაროდ, არა. მიზეზები დიდი ხანია ცნობილია: ჩვენი სტაიერები შესრულებული დატვირთვის მოცულობითა და ინტენსივობით ჯერ კიდევ ჩამორჩებიან „მსოფლიოს სტანდარტებს". ჩვენ სტაიერთა სირბილში „მოდის კანონმდებლები" ვიყავით 1960 წლამდე. მაშინ მსოფლიოს ყველა მორბენალი კუცსა და ბოლოტნიკოვს „უთანასწორდებოდნენ", მაგრამ შემდეგ საზღვარგარეთის საუკეთესო სტაიერებმა საკმაო ტემპი აიღეს და წინ გავიდნენ. ჩვენ კი საკუთარ პრინციპებზე უარი ვთქვით და, რა თქმა უნდა, ტრადიციები დავთმეთ. შეიძლება ჩვენი სპორტსმენების მიმართ ერთხელ კიდევ გამოვთქვათ საყვედური, დავადანაშაულოთ შრომისმოყვარეობის უკმარობაში, მაგრამ ვფიქრობ, ასეთივე საყვედურს იმსახურებენ მწვრთნელებიც, რომლებსაც არ სურთ საშინაო ტურნირებში მეტი რისკი გაწიონ, არ ცდილობენ ფსიქოლოგიური წინაღობების გადალახვას, რაც მათ აღსაზრდელებს ასე უშლით ხელს, ვერ ახერხებენ მძლეოსნების მომზადებას ახალი, უფრო მაღალი დატვირთვისთვის.

ჩვენი მორბენლების ძველმა „ცოდვებმა" გასული ზამთრის სეზონში ერთხელ კიდევ იჩინა თავი, როცა „მეორე ეშელონის" სპორტსმენებმა უძლიერესთა გარეშე ვერ შეძლეს გადაელახათ თანამედროვე სისწრაფის ზღვარი და საშუალო შედეგებზე დაბალი მაჩვენებლებით დაკმაყოფილდნენ.

**— რა არის საჭირო მძლეოსნობის ზოგიერთ სახეობაში ჩვენი ჩამორჩენის დასაძლევად და მოსკოვის „ოლიმპიადა-80-ში" წარმატებით გამოსვლისთვის?**

— აუცილებელია შემდეგშიც ვაწარმოოთ მიზანდასახული ძიება იაშჩენკოსა და ზემოთ დასახელებული სამი სპორტსმენის მსგავსი ახალგაზრდა ტალანტებისა, რომლებსაც სწრაფად დაწინაურება შეუძლიათ, ხოლო როცა მათ აღმოვაჩენთ, ვალდებული ვართ შევუქმნათ ზრდის ოპტიმალური პირობები, თანამედროვე დონეზე წვრთნის საშუალებანი.

და ეს ჩემი ოპტიმიზმი გადაჭარბებულად ნურავის მოეჩვენება. „მსოფლიოს 25 საუკეთესო" სპორტსმენის სიაში ჩვენ გაცილებით მეტი წარმომადგენელი გვყავს, ვიდრე ჩვენს მთავარ მეტოქეებს — აშშ-სა და გდრ-ს. ამოცანა ის არის, რომ ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებიც დღესდღეობით ოსტატობის საშუალო დონეზე იმყოფებიან, ჩემპიონის „კონდიციამდე" მივიყვანოთ. ამ საკითხის გადაწყვეტა კი მხოლოდ ჩვენი მძლეოსნების მომზადების მთლიანი სისტემის სრულყოფით შეიძლება.

**გ. გუხოვცევი,**
**ტ. კოზლოვა.**
(საკდესის კორ.).

* * *

**სურათზე:** ვ. იაშჩენკოს სარეკორდო ნახტომი.






**სურათზე:** განთიადელი ქ. პეტროსიანი ასპარეზობისას.

ქ. სალუქვაძის ფოტო.

# თასი დებიუტანტს

**თბილისის** „დინამოს" საჩოგბურთო კორტებზე გაიმართა დედაქალაქის თასის გათამაშება.

ქალთა ასპარეზობაში „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" ორორი და „დინამოს" გუნდები ჩაებნენ. კარგი მომზადება გამოავლინა „განთიადის" პირველმა კოლექტივმა (მწვრთნელი გ. ღარიბაშვილი), რომელსაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ივანოვა ედგა სათავეში. განთიადელებმა წინასწარ შეხვედრაში ანგარიშით 4:0 დაამარცხეს „ბურევესტნიკის" მეორე ნაკრები, ფინალში კი დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს დინამოელებს — 3:2 და საპატიო თასი დაისაკუთრეს. გუნდის სპორტულ ღირსებას ა. ივანოვას გარდა იცავდნენ: ქ. პეტროსიანი, ა. პოლოსოვა და ბ. კაზდანიანი.

ვაჟთა ტურნირში, სადაც შვიდი გუნდი გამოდიოდა, თავი გამოიჩინა „სპარტაკის" კოლექტივმა, რომელიც მსგავს შეჯიბრებაში პირველად ცდიდა ძალებს. დებიუტანტებმა ჯერ „განთიადის" მეორე გუნდი დაამარცხეს (3:1), შემდეგ ამავე სპორტსაზოგადოების პირველ კოლექტივს სძლიეს (3:2), ფინალურ შეხვედრაში კი ასეთივე ანგარიშით მოუგეს „ბურევესტნიკის" ნაკრებს. გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: გ. პერეგუდოვი, მ. ფირცხალავა, რ. გოშაძე, გ. ერინოსიანი.

**დ. ტუხაშვილი,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.**

## ჭადრაკი

### ისევ ყაიმები

ლვოვში, ვაჟთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის IV ტურშიც ბევრი ყაიმი იყო.

ასეთი შედეგით დამთავრდა გ. კუზმინ — ა. ბელიავსკის, ვ. ბაგიროვ — ა. კოჩიევის, ვ. ტუკმაკოვ — ე. გელერის, ო. რომანიშინ — ვ. სმისლოვისა და ე. სვეშნიკოვ — ვ. საგონის შეხვედრები.

დაუმთავრებელი დარჩა ბ. გულკო — ი. ბალაშოვისა და ვ. ცეშკოვსკი — რ. ვაგანიანის პარტიები.

4 ტურის შემდეგ ბ. გულკოსა და ვ. სმისლოვს 2,5-2,5 ქულა აქვთ, ოღონდ გულკოს სამი შეხვედრიდან.

### კარგი დასაწყისი

სოჭი, 10 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქაურ საჭადრაკო კლუბში სტარტი აიღო ორწრიანმა ტურნირმა 8 უძლიერეს ჭაბუკ მოჭადრაკეს შორის. შეჯიბრებამ უნდა შეარჩიოს ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის ერთი მონაწილე.

ამ საგზურისთვის იბრძვიან (წილისყრის მიხედვით): 1. ა. ხარიტონოვი (ივანოვო), 2. ლ. იურტაევი (ფრუნზე), 3. ლ. ფსახისი (კრასნოიარსკი), 4. ბ. ტაბოროვი (კიევი), 5. ზ. ლანკა (ბალდონე, ლატვია), 6. ზ. აზმაიფარაშვილი (თბილისი), 7. ლ. ეოლიანი (ერევანი), 8. ს. დოლმატოვი (მოსკოვი).

ახალგაზრდა მოჭადრაკეებს მწვრთნელებად ახლავთ: დოლმატოვს — საერთაშორისო ოსტატი მ. დვორეცკი, ტაბოროვს — ოსტატი ი. სახაროვი, ლანკას — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი ა. შმიტი, ეოლიანს — ოსტატი ე. მნაცაკანიანი, ხარიტონოვს — ოსტატი ვ. შჩერბაკოვი.

I ტურში აზმაიფარაშვილი შეხვდა რსფსრ-ის ჩემპიონს ფსახისს. კრასნოიარსკელმა ოსტატმა დებიუტში ახალი გაგრძელება გამოიყენა, ამიტომ თბილისელ მოჭადრაკეს დიდხანს დასჭირდა მუქარის მოგერიება. შემდეგ კონტრიერიშზე გადავიდა, ფიგურა მოიგო და ფსახისი დანებდა.

იურტაევმა მოუგო ეოლიანს. დაზავდნენ ხარიტონოვ—დოლმატოვი. ლანკას უპირატესობით გადაიდო მისი პარტია ტაბოროვთან.

**ა. ბუსლაევი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

## წყალბურთი

**მინსკში** დამთავრდა წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. მეორე წრის თამაშები გაიმართება 22-26 აპრილს კიევსა და ბაქოში.

**მდგომარეობა I წრის შემდეგ**

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მოსკ. | 8 | 3 | 0 | 60—46 | 19 |
| სსფ ცსკ | 7 | 2 | 2 | 53—33 | 16 |
| უნივერსიტ. | 5 | 5 | 1 | 64—48 | 15 |
| „დინ". ალმა-ათა | 5 | 5 | 1 | 64—57 | 15 |
| „მეხნატი" | 3 | 5 | 3 | 54—58 | 11 |
| „მოსკვიჩი" | 2 | 5 | 4 | 44—44 | 9 |
| „დინამო" კიევი | 2 | 5 | 4 | 55—56 | 9 |
| „დინამო" თბ. | 3 | 3 | 5 | 59—64 | 9 |
| „ლოკომოტივი" | 3 | 3 | 5 | 54—61 | 9 |
| „დინამო" ლვოვი | 3 | 3 | 5 | 43—61 | 9 |
| კწფ ბაქო | 2 | 4 | 5 | 56—56 | 8 |
| სკიფი | 0 | 1 | 10 | 54—76 | 1 |

## გუნდურშიც, პირადშიც

**დაიწყო** ევროპის პირველობა ავტორალში „მეგობრობის თასი". პირველი ეტაპის მონაწილეებს გდრ-ის ავტოსტრადებმა უმასპინძლა. 1200 კილომეტრზე ასპარეზობაში სსრ კავშირის ნაკრებმა უკან ჩამოიტოვა გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

პირად ჩათვლაში უძლიერესი გახლდათ მოსკოველთა ეკიპაჟი ი. აგიშევისა და მ. ტიტოვის შემადგენლობით, რომელიც „მოსკვიჩ-2140"-ით გამოდიოდა. III ადგილზეა მეორე საბჭოთა დუეტი მ. ოხუ და ტ. დიენარი (ესტონეთი). ისინი „ვაზ-21011"-ის მარკის მანქანით ასპარეზობენ.

## „სპორტლოტო"

**საორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მეთოთხმეტე ტირაჟისა, რომელიც 5 აპრილს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": 6 ნომერი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 143, ოთხისთვის — 118, სამისთვის — 4.

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო, ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2781 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 67, ოთხისთვის — 42, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 16 აპრილიდან 16 მაისის ჩათვლით.

## რა ქქნას კარგმა მონარდემ...

ნარდის სამშობლოდ ირანს თვლიან. ამ ქვეყანაში იგი ახლაც, როგორც წარსულში, დიდადაა გავრცელებული. მისი თამაში ბევრ მოყვარულს იზიდავს. მაგრამ თუ ახლო აღმოსავლეთში მას სპორტული ინტერესით მისდევენ, დასავლეთში იგი გამდიდრების წყაროდ იქცა. მოთამაშეს ერთ საღამოს შეუძლია დიდძალი თანხა მოიგოს ან...

ამჟამად ნარდში მსოფლიო ჩემპიონია ფილიპ მარტინი. მან ყველა აზარტულ თამაშში სცადა ძალა, მაგრამ არჩევანი ნარდზე შეაჩერა. მარტინი მონაწილეობს ყველა ჩემპიონატსა და დიდ ტურნირში, რომლებიც იმართება ნიუ იორკში, პარიზში, მონტე-კარლოში, ლონდონში, ვენაში, თეირანში...

თურქებს მუდამ მოჰქონდათ თავი ნარდის თამაშით. მაგრამ, როცა მარტინი შეხვდა მათს ჩემპიონს და მოუგო ანგარიშით 5:0, იძულებული იყვნენ დასავლეთელი სტუმარი უძლიერესად ეღიარებინათ. მათ ისიც თქვეს, რომ მარტინმა კამათლის გაგორების ახალი სისტემა გამოიმუშავა და ფიზიკურ გამძლეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

„ჩვენ ნარდის პროფესიონალი მოთამაშეები, დაფასთან ბევრ დროს ვატარებთ და ამიტომ ფიზიკური მომზადება არსებით აუცილებლობას წარმოადგენს, — ამბობს მარტინი. — როცა კამათელს ვაგორებ, შემიძლია სამი-ოთხი სვლით განვჭვრიტო თამაში. ამრიგად, მე ვასწრებ მეტოქეს და შემიძლია მახე დავუგო მას. ჩემთვის წაგება — ჭეშმარიტი ტანჯვაა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნიუ იორკში ამერიკის ჩემპიონის, მონტე-კარლოში კი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები მოვიპოვე, ვფიქრობ ვისწავლე ვიყო დავდაჭერილი და აუღელვებელი".

ამჟამად აშშ-ში არიან მოთამაშეები, რომლებიც ცოტათი ჩამორჩებიან მარტინს. ყოველ წელს ახალი „ვარსკვლავები" ჩნდება. ჯერჯერობით კი მარტინმა, მსოფლიოს საუკეთესო მენარდემ, ხელშეკრულება დაუდო ოსტატ მაკორმიკს, რომელიც გამოჩენილ სპორტსმენთა ფინანსური ხელმძღვანელია.

(თარგმანი ინგლისურიდან).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07778